დანართი 1

დამტკიცებულია: ბრ.#07/01-11, 05/04/2024

სტუდენტთა წახალისებისა და სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების ხელშეწყობის ფინანსური

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

თბილისი

2024

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. წინამდებარე დებულება (შემდგომში „დებულება“) არეგულირებს შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი“-ს (შემდგომში „უნივერსიტეტი“) საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა წახალისებისა და ხელშეწყობის მიზნით სწავლის არასტანდარტული საფასურით სარგებლობის პირობებს.
1.2 წინამდებარე დებულებით ასევე, განისაზღვრება სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის მექანიზმები.

მუხლი 2. სწავლის არასტანდარტული საფასური

2.1.სწავლის არასტანდარტული საფასური დგინდება:

2.1.1. საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისთვის, რომლებიც ეროვნულ გამოცდებში მიღებული შემაჯამებელი სკალირებული ქულით პირველ (უმაღლეს) ხუთას (ტოპ 500) აბიტურიენტს შორის მოხვდებიან და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებს პირველ პრიორიტეტად აირჩევენ ისარგებლებენ სწავლის არასტანდარტული საფასურით - პროგრამის ღირებულება - „0“ ლარი. სწავლის არასტანდარტული საფასურით სარგებლობის წესები განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო წლისთვის დამტკიცებული ტარიფების ბრძანებით.

2.1.2. საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები, რომლებიც შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებს პირველ პრიორიტეტად აირჩევენ, ისარგებლებენ არასტანდარტული საფასურით. არასტანდარტული საფასურით სარგებლობის წესები განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო წლისთვის დამტკიცებული ტარიფების ბრძანებით.

2.1.3. საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისათვის, რომლებიც უნივერსიტეტში ჩაირიცხებიან 100%-იანი, 70%-იანი და 50%-იანი სახელმწიფო გრანტით და უნივერსიტეტის შესაბამისი სკოლის რომელიმე საბაკალავრო პროგრამაზე გააკეთებენ I არჩევანს, ისარგებლებენ სწავლის არასტანდარტული საფასურით. სწავლის არასტანდარტული საფასური განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო წლისთვის დამტკიცებული ტარიფების ბრძანებით.
2.2. სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტებისათვის:
2.2.1.სტუდენტი, რომელიც ჩააბარებს უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამაზე, ისარგებლებს სწავლის არასტანდარტული საფასურით. რომელიც განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო წლისთვის დამტკიცებული ტარიფების ბრძანებით, თუ აკმაყოფილებს ქვემოთ ჩამოთვლილ კუმულატიურ პირობებს:
2.2.2. ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭებისას ნიშნების საშუალო შეწონილი (GPA) ჰქონდა არანაკლებ 3.3-სა ან საერთო სამაგისტრო გამოცდაზე მიღებული შედეგი იქნება მაქსიმალური ქულის არა ნაკლებ 80 %-სა,

2.2.3. შესაბამისი სკოლის მიერ ჩატარებულ მისაღებ გამოცდაზე გადალახავს გამოცდის ჩაბარებისთვის დადგენილ მინიმალურ ზღვარს - 80% ან შეასრულებს სკოლის მიერ დადგენილ შესაბამის დავალებას და
2.2.4. სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის შემდეგ, ყოველ აქტიურ სემესტრში დარეგისტრირდება შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებულ საგნებზე და დააკმაყოფილებს განსაზღვრულ შენარჩუნების მაჩვენებელს - ყოველწლიურ საშუალო შეწონილ GPA -3.5-ს.
2.2.5. სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის არასტანდარტული საფასური განისაზღრება შესაბამისი სასწავლო წლისთვის დამტკიცებული ტარიფების ბრძანებით.
2.3. სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტებისთვის:
2.3.1. მაგისტრატურის აკადემიური ხარისხის მინიჭებისას ნიშნების საშუალო შეწონილი (GPA) ჰქონდა არანაკლებ 3.5-სა. სადოქტორო პროგრამაზე სწავლის არასტანდარტული საფასური განისაზღრება შესაბამისი სასწავლო წლისთვის დამტკიცებული ტარიფების ბრძანებით.
2.4. სწავლის არასტანდარტული საფასურით სარგებლობა შეუძლიათ საბაკალავრო პროგრამის სტუდენტს აკადემიური მოსწრებიდან გამომდინარე. თითოეულ სკოლაში, ყოველწლიურად შეიძლება გამოვლინდეს სამი რეიტინგული სტუდენტი.
2.4.1.რეიტინგი გამოითვლება თითოეული სკოლის პროგრამებზე რიცხული სტუდენტების ერთობლივი მონაცემების შესაბამისად. რეიტინგულად შეიძლება ჩაითვალოს სტუდენტი თუ იგი აკმაყოფილებს „რეიტინგული სტუდენტების დაფინანსების წესი“-ს შესახებ დადგენილ მოთხოვნებს.
2.5. სამხედრო მოსამსახურეებისა და მათი ოჯახის წევრების (მეუღლე, შვილი) განათლების ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტში ჩარიცხვის შემთხვევაში, შეუძლიათ ისარგებლონ არასტანდარტული საფასურით რომელებიც სახელმწიფოსგან იღებენ შესაბამის დაფინანსებას. სწავლის არასტანდარტილი საფასური დგინდება შესაბამისი სასწავლო წლისთვის დამტკიცებული ტარიფების ბრძანებით.
2.6. სოციალურად მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენელთათვის უნივერსიტეტში მოქმედებს სწავლის საფასურის გადახდის შეღავათიანი პირობები. სტუდენტი, რომელიც არის სოციალურად დაუცველი და სახელმწიფოსაგან იღებს შესაბამის დაფინანსებას, დაფინანსების თანხის ნაწილში უნივერსიტეტი სწავლის საფასურის გადახდის ვალდებულებას უვადებს შესაბამისი უწყებიდან თანხის ჩარიცხვის თარიღამდე.
2.7.სწავლის არასტანდარტული საფასური მოქმედებს შემდეგ სამიზნე ჯგუფებზე:

ა)ქართული ეთნიკური წარმოშობის (ფერეიდნელი ქართველები, ლაზები, დეპორტირებული მესხები და სხვა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე, რომლებიც თავს მიიჩნევენ ქართული ეთნიკური წარმოშობის მქონედ და აქვთ ქართული გვარი ან ქართული ლინგვისტური იდენტობა;
ბ)სოციალურად დაუცველ პირებზე;

გ)შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირზე, რომელიც დაავადებულია ქრონიკული დაავადებ(ებ)ით, საჭიროებს მუდმივ მედიკამენტოზურ მკურნალობას და მოკლებულია სრული დატვირთვით (შრომის კოდექსის შესაბამისად) შრომისუნარიანობას;
დ)აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე პირებზე;
ე)ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლებზე;
ვ)იძულებით გადაადგილებულ პირზე;
ზ)ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ პირებზე;
თ) მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებ პირებზე;
ი)ტერიტორიული მთლიანობის დაცვისთვის დაღუპულ პირთა შვილებზე, მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ვეტერანებზე ან მათ შვილებზე.
კ) მრავალშვილიანი ოჯახის წევრებზე;
ლ)ობოლ (უდედმამო) სტუდენტებზე;
მ) სტუდენტებზე, რომლებიც იმყოფებოდნენ სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ;
ნ) სტუდენტებზე, რომელთაც მოპოვებული აქვთ/ჰქონდათ რეპანტრიანტის სტატუსი;
ო)ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლის კურსდამთავრებულებზე
პ)უნივერსიტეტის რექტორის გადაწყვეტილებით, სხვა პირებზე.

2.8. წინამდებარე მუხლის 2.7 პუნქტით განსაზღვრულმა თითოეულმა პირმა უნივერსიტეტში უნდა წარმოადგინოს შემდეგი სახის დოკუმენტები (დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მათ სოციალურ მდგომარეობას და რომელსაც გასცემს შესაბამისი სახელმწიფო უწყება):

ა)სოციალურად დაუცველმა პირებმა - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებული სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ მიერ გაცემული ცნობა „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში„ რეგისტრაციის თაობაზე, რომელიც გაცემული უნდა იყოს ცნობის უნივერსიტეტში წარმოდგენამდე არაუადრეს 1 თვისა;
ბ) ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებმა - საქართველოს მოქალაქის მოწმობასთან ერთად, საქართველოში ეროვნული უმცირესობების კომპაქტურად განსახლების მუნიციპალიტეტებში, რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი (საინფორმაციო ბარათი);
გ) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებმა - სამეციდინო სოციალური ექსპერტიზის შემოწმების აქტის ამონაწერი ფორმა N 50/II (ასლი) ;
დ) იძულებით გადაადგილებულმა პირებმა - იძულებით გადაადგილებული პირის - დევნილის მოწმობა;

ე) ქართული ეთნიკური წარმოშობის (ლაზები,დეპორტირებული მესხები,ფერეიდნელი ქართველები და სხვა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე, რომლებიც თავს მიიჩნევენ ქართული ეთნიკური წარმოშობის მქონედ და აქვთ ქართული გვარი ან ქართული ლინგვისტური იდენტობა - პირადობის ნეიტრალური მოწმობა ან ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი და უცხოეთში მცხოვრებმა, უცხო ქვეყნის მოქალაქეებმა - თანამემამულის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი;
ვ)ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებმა პირებმა - საქართველოს მოქალაქის მოწმობა, პირადობის ნეიტრალური მოწმობა ან ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი;
ზ) მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებმა პირებმა - საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის N671 დადგენილებით განსაზღვრული რომელიმე მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად ცხოვრების დამადასტურებელი დოკუმენტი;
თ) მრავალშვილიანი ოჯახების წევრებმა - ცნობა ან რაიმე სახის სხვა დოკუმეტი, რომლითაც დადასტურდება 5 ან მეტი დის, ძმის ან და-ძმის ყოლის ფაქტი;
ი) ტერიტორიული მთლიანობის დაცვისთვის დაღუპულ პირთა შვილებმა/ოჯახის წევრებმა - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის მიერ გაცემული ცნობა, რომლითაც დასტუდება ტერიტორიული მთლიანობისთვის გარდაცვლილ პირთან ოჯახური კავშირი;
კ) ობოლმა (უდედმამო) სტუდენტებმა - დაბადების მოწმობა; დედ-მამის გარდაცვალების მოწმობები ან სასამართლო გადაწყვეტილება მშობლის/მშობლების გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ, ან დედის გარდაცვალების მოწმობა ან სასამართლო გადაწყვეტილება დედის გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ და სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული დოკუმენტი რითაც დასტურდება, რომ სტუდენტის დაბადების აქტის ჩანაწერში მამის შესახებ მონაცემების შეტანის საფუძველი იყო დედის განცხადება.
ლ) აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე პირებმა - ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ;
მ) სტუდენტებმა, რომლებიც იმყოფებოდნენ სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს რომ პირი იმყოფებოდა სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ.
ნ) სტუდენტებმა, რომელთაც მოპოვებული აქვთ/ჰქონდათ რეპანტრიანტის სტატუსი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ გაცემული ცნობა რეპატრიანტის სტატუსის შესახებ. ო) ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლის კურსდამთავრებულებმა - სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი.
2.9. შემოსულ დოკუმენტაციას განიხილავს უნივერსიტეტის რექტორი, ადმინისტრაციის დარგში პრორექტორისა და ფინანსურ დარგში პრორექტორის

მონაწილეობით, რის შემდეგაც განისაზღვრება სტუდენტ(ებ)ი, რომელიც/რომლებიც სოციალური სტატუსის საფუძველზე ისარგებლებენ სწავლის არასტანდარტული საფასურით, ასევე თითოეული სტუდენტის შემთხვევაში, სამიზნე ჯგუფების მიხედვით განისაზღვრება სწავლის საფასურის შეღავათიანი პირობები;

2.10. უნივერსიტეტის თანამშრომელთა და მათი ოჯახის წევრთათვის:

უნივერსიტეტის თანამშრომლებს და მათი ოჯახის წევრებს შეუძლიათ ისარგებლონ სწავლის არასტანდარტული საფასურით, კერძოდ სწავლის საფასურის განახევრებული ოდენობით.

2.11. უნივერსიტეტის კურსდამთავრებულისთვის, თუ იგი ჩააბარებს უნივერსიტეტის ზედა საფეხურის პროგრამაზე ისარგებლებს 10 %-იანი ფასდაკლებით. თუ საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული ჩააბარებს უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამაზე ან თუ სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული ჩააბარებს უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამაზე, სტუდენტი გადაიხდის სწავლის საფასურის 90%-ს.

2.12. სწავლის არასტანდარტული საფასური მოქმედებს ასევე საბაკალავრო საფეხურის შემდეგ სამიზნე ჯგუფებზე:

ა) სახელმწიფო სასწავლო და/ან სახელმწიფო/ კერძო სკოლის ოქროსა და ვერცხლის მედალოსნებზე;

ბ) მე-12 კლასელთათვის უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული ყოველწლიურ კონკურსზე ,,სად? რა? როდის?“ გამარჯვებულებზე;

გ) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის თანამშრომელზე, მის მეუღლეზე/შვილზე;

დ) უნივერსიტეტთან ურთიერთთანამშრომლობის შესახებ მემორანდუმის მქონე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეებზე;

ე) არქიტექტურაში უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული ოლიმპიადის მონაწილეებზე;

ვ) საქართველოს მიერ ლტოლვილის სტატუსმინიჭებული პირებზე;

ზ) ქუთაისის ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა, შპს ქართულ-
გერმანულ სკოლა-ლიცეუმი სხივის და შოთა რუსთაველის სახელობის სკოლების თანამშრომელზე, თანამშრომლის მეუღლე/შვილზე, რომელიც ჩაირიცხა უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამაზე.

თ) პირებზე, რომლებმაც მოიპოვეს/დააგროვეს უნივერსიტეტის მიერ ჩატარებულ სასკოლო ოლიმპიადაში საპრიზო ადგიკლები.

ი) საქართველოს ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაში მონაწილე პირებზე;

კ) საქართველოს ეროვნულ ნაკრებში შემავალი სპორტსმენებზე, ეროვნულ ნაკრებში ყოფნის მანძილზე;

2.13. წინამდებარე დებულების 1.8.3. პუნქტით განსაზღვრულმა თითოეულმა პირმა უნივერსიტეტში უნდა წარმოადგინოს შესაბამისი საფუძვლის დამადასტურებელი დოკუმენტები (რომელიც გაცემული იქნება შესაბამისი უწყების მიერ).

2.14. წინამდებარე მუხლით განსაზღვრული არასტანდარტული საფასურით სარგებლობის დროს სახელმწიფო გრანტის მფლობელი სტუდენტების

არასტანდარტული საფასურის კალკულაცია ხდება სწავლის საფასურიდან, რომელიც რჩება სახელმწიფო გრანტის თანხის გამოკლების შედეგად.

მუხლი 3. უნივერსიტეტის ვაუჩერი

3.1. აბიტურიენტს შესაძლებლობა აქვს უნივერისტეტის მიერ განსაზღვრულ კონკურსებში საპრიზო ადგილის მოპოვების შემთხვევაში ისარგებლოს უნივერსიტეტის მიერ გაცემული ვაუჩერით.

3.2. სწავლაში ხელშეწყობისა და მოტივაციის ამაღლების მიზნით, უნივერსიტეტი (მისი შესაბამისი სკოლა/სკოლები) აწყობს აბიტურიენტთათვის სხვადასხვა სახის კონკურსებს და კონკურსის გამარჯვებულთათვის აწესებს შესაბამის პრიზებს. კერძოდ, კონკურსში I, II და III ადგილზე გასული აბიტურიენტი/გუნდი იღებს სასწავლო ვაუჩერს, რომლის გამოყენებასაც პირი შეძლებს უნივერსიტეტში ჩარიცხვისთანავე. ვაუჩერის ოდენობა თითოეული კონკურსისათვის და მისი გამოყენების პირობები განისაზღვრება უნივერსიტეტის რექტორის შესაბამისი ბრძანებით.

მუხლი 4. სწავლის არასტანდარტული საფასურის გავრცელების ფარგლები

4.1. არასტანდარტული საფასურით სარგებლობის უფლება ვრცელდება პირველად რეგისტრირებულ საგნებზე, ყველა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული აქტიური სემესტრების განმავლობაში.

4.2. იმ სტუდენტისთვის, რომელიც სარგებლობს არასტანდარტული საფასურით და შიდა მობილობის წესით ჩაირიცხება ერთი საგანმანათლებლო პროგრამიდან უნივერსიტეტის მეორე საგანმანათლებლო პროგრამაზე, ისარგებლებს მეორეზე დადგენილი არასტანდარტული საფასურით. წინამდებდებარე მუხლის 4.1 გათვალისწინებული სემესტრების მაქსიმალური ოდენობა გამოიანგარიშება ორივე საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში. ამასთანავე, პირველადი რეგისტრირებული საგნების კრედიტების რაოდენობა ორივე საგანმანათლებლო პროგრამაზე ჯამურად არ უნდა აღემატებოდეს მეორე საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების ოდენობას.

მუხლი 5. სწავლის არასტანდარტული საფასურით სარგებლობის პირობები

5.1. სტუდენტი, რომელსაც ეკუთვნის წინამდებარე წესით განსაზღვრული ერთზე მეტი არასტანდარტული საფასური, ისარგებლებს მისი ინტერესების გათვალისწინებით ყველაზე დაბალი არასტანდარტული საფასურით.

5.2. გამონაკლის შემთხვევებში, მიუხედავად ერთზე მეტი დაფინანსების მოპოვებისა, ერთდროულად შესაძლოა გამოყენებულ იქნეს როგორც კურდამთავრებულის შეღავათი და სხვა არასტანდარტული საფასური, ასევე უნივერსიტეტის ვაუჩერი ან/და სხვა არასტანდარტული საფასური.

მუხლი 6. .სწავლის არასტანდარტული საფასურის შენარჩუნების საფუძველი
6.1. სწავლის არტასტანდარტული საფასურით სარგებლობის საფუძველია:
6.1.1. სტუდენტის წლიური GPA არანაკლებ 3.5-ს.
6.1.2. დისციპლინური სახდელის არარსებობა;

მუხლი 7. სწავლის არასტანდარტული საფასურის გაუქმების საფუძვლები
7.1. სწავლის არასტანდარტული საფასურის გაუქმდება თუ არასტანდარტული საფასურით სარგებლობის უფლების მქონე სტუდენტის სწავლის პერიოდი გახანგრძლივდა და ვერ დაასრულებს სწავლას საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ ვადებში.

მუხლი 8. სახელმწიფო სასწავლო გრანტს და უნივერსიტეტის გრანტის მოპოვებისა და ერთად გამოყენების წესი
8.1 მეორე მუხლით გათვალისწინებულ არასტანდარტული საფასურით სარგებლობისთვის აუცილებელი წინაპირობაა აბიტურიენტის მიერ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების პირველ პრიორიტეტად არჩევა. გამონაკლის წარმოადგენს უნივერსიტეტის კურსდამთავრებულის ფასდაკლება და უნივერსიტეტის ვაუჩერი.
8.2. თუ აბიტურიენტს მოპოვებული აქვს როგორც სახელმწიფო სასწავლო გრანტი, ასევე უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული არასტანდარტული საფასურით სარგებლობის უფლება, უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული არასტანდარტული სარგებლობა გავრცელდება გრანტის თანხის გამოკლების შემდეგ დარჩენილ სწავლის საფასურზე.

მუხლი 9. სტუდენტთა ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები
9.1. უნივერსიტეტში მოქმედებს სწავლის საფასურის გადახდის მოქნილი სისტემა. კერძოდ, სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ სემესტრული გადასახადის დაფარვა უზრუნველყონ მათთვის სასურველი და უნივერსიტეტთან შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად.
9.2. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტმა შესაძლებელია მიიღოს დაფინანსება სასწავლო, კვლევითი და/ან პრაქტიკული უნარების განმავითარებელი აქტივობისთვის საერთაშორისო და/ან ადგილობრივ დონეზე. დასაფინანსებელი აქტივობების კლასიფიკაცია, შეფასების კრიტერიუმები და სხვა საკითხები რეგულირდება უნივერსიტეტში დამტკიცებული „სტუდენტური ინიციატივების დაფინანსების წესის“ და კვკევის შიდასაუნივერსიტეტო დაფინანსების წესის შესაბამისად.

მუხლი 10. დასკვნითი დებულებები
10.1. წინამდებარე დებულება ძალაში შედის რექტორის მიერ მისი დამტკიცების შემდეგ, 2024-2025 სასწავლო წლის და მომდევნო მიღების სტუდენტებისთვის.

10.2. წინამდებარე დებულებაში ნებისმიერი ცვლილების შეტანა შესაძლებელია რექტორის ბრძანებით.
10.3. წინამდებარე დებულების შესრულებაზე ზედამხედველობა განხორციელდება ფინანსური დეპარტამენტის მიერ.